საქართველო
GEORGIA
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL - AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

59 თამარ მეფის ქ., ქუთაისი, 4600, საქართველო
ტელ.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
ელ. ფოსტა: atsu@atsu.edu.ge

59, Tamar Mefe st., Kutaisi, 4600, Georgia
Tel.: (+995 431) 245 784; (+995 431) 243 833
E-mail: atsu@atsu.edu.ge

№ 01-04/109 22.12. 2016 წელი

ზამთრის სკოლის ორგანიზების შესახებ

აწსუ აკადემიური საბჭოს №108 (12/13), 29.06.2013 დადგენილების შესაბამისად ზამთრის სკოლის საქმიანობის ორგანიზებულად წარმართვის მიზნით ვბრძანებ:

1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებისათვის ზამთრის სკოლის ფუნქციონირება განხორციელდეს 2017 წლის 09 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით და ნება დაერთოთ სტუდენტებს აითვისონ სასწავლო კურსები არა უმეტეს 2 კრედიტისა სასწავლო კვირის განმავლობაში. სტუდენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ფაკულტეტების დეკანატებში.
2. სტუდენტთა განცხადებების მიღება განხორციელდეს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვის ცენტრში 2017 წლის 25 იანვრიდან 8 თებერვლამდე.
3. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს, სტუდენტთა განცხადებების საფუძველზე, შექმნან სასწავლო ჯგუფები და უზრუნველყონ ისინი სწავლების გრაფიკით და აკადემიური პერსონალით.
4. სასწავლო კურსის სწავლება განხორციელდეს აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სილაბუსის შესაბამისად, სრული მოცულობით, სწავლისა და შეფასების მეთოდების სრულად გამოყენებით.
5. ზამთრის სკოლაში სწავლის საფასურის გაანგარიშება მოხდეს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ წლისათვის დადგენილი სწავლის საფასურის პროპორციულად.

*მაგალითად, თუ სტუდენტს ასათვისებელი აქვს 5 კრედიტი და მოცემულ პროგრამაზე სწავლის საფასურია 2250 ლარი, ზამთრის სკოლაში სწავლის საფასური გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 2250/60*5=187,5 ლ. (სადაც 2250 არის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური, 60 - სასწავლო წლის განმავლობაში ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა, 5 - სკოლის მსმენელის მიერ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა).*

6. კანცელარიის უფროსმა (ე.ცირეკიძე) და საგარეო ურთიერთობების განვითარების სამსახურმა (პროფ. დ. გეგეჭკორი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერისტეტის ვებ-გვერდზე.

რექტორი: პროფ.გიორგი ღავთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი: პროფ.იმერი ბასილაძე